GEORGIAN INSTITUTE OF PUBLIC AFFAIRS

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: **გარემოს დაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა / Environmental Protection Management Programme**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: **გარემოს დაცვის მენეჯმენტის მაგისტრი /Master of Environmental Protection Management**
პროგრამის მოცულობა კრედიტებით: **120 კრედიტი**
სწავლების ენა: **ქართული**
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: **მაგისტრატურა**
პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელები: **კახა არცივაძე, მაია ზავრაშვილი, ნანა მაჭარაშვილი**

პროგრამის აღწერა:

GIPA-ს გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა, რომელიც შეიქმნა 2016 წელს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ისეთი აქტორების თანამშრომლობის საფუძველზე როგორებიც არიან: GIPA - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი, განკუთვნილია მათთვის, ვისაც სურს გარემოსდაცვითი მმართველობის და პოლიტიკის კუთხით საკუთარი ცოდნის გაღრმავება და შესაბამისი უნარების გამომუშავება, გარემოს დაცვის სფეროს მრავალ განშტოებასთან დაკავშირებული საკითხების, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მართვის სფეროში, ასევე, იმ საჯარო მოხელეებისთვის, რომელთა საქმიანობა უკავშირდება გარემოსდაცვითი პრობლემების გადაწყვეტას როგორც სტრატეგიულ ისე ოპერაციულ დონეზე. შესაბამისად, პროგრამა საინტერესო შეიძლება იყოს გარემოსა და ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებული ან მომიჯნავე სფეროში უკვე დასაქმებულ ან ამ სფეროთი დაინტერესებულ პირთათვის. გარემოს დაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების თემატიკა ფარავს ევროკავშირის გარემოსდაცვით პრიორიტეტებს და აღნიშნული მიმართულებები თანხვედრაშია გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრისა და მისი აღსრულების კონტროლის მექანიზმების გაძლიერებასთან, რათა უზრუნველყოფილ იქნას ქვეყნის მდგრადი განვითარება, მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის და კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციის ხელშეწყობის გზით ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით, ასევე, საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი სტატუსიდან გამომდინარე, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებითა თუ სხვა საერთაშორისო შეთანხმებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

პროგრამის მიზანი:

გარემოს დაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის მიზანია სტუდენტს **შესძინოს და გამოუმუშაოს:**

1. სიღრმისეული ცოდნა გარემოს დაცვის მენეჯმენტის ძირითადი კონცეფციების, თეორიების, მეთოდების, მიდგომებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესახებ, მენეჯერული, სამართლებრივი, ეკონომიკური და საჯარო/კერძო დაწესებულებების, სამთავრობო და არასამთავრობო ინტიტუტების მართვის საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით;
2. სისტემური ცოდნა გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემასა და დემოკრატიული მმართველობის, გარემოს დაცვის საკვანძო პრინციპებსა და კონცეფციებს, გარემოსდაცვითი მართვის ინსტრუმენტებს, გარემოს დაცვისა და კონსერვაციის, მწვანე და ცირკულარული ეკონომიკის, დაბალემისიანი და კლიმატმედეგი განვითარების მიმართულებით სტრატეგიული და ოპერაციული დონის გადაწყვეტილებების მიღების უნარი, რომელიც ეფუძნება მდგრადი განვითარების მიზნებს, რისკ-ფაქტორებისა და რესურსების (ინფორმაციული, ადამიანური, მატერიალური, ფინანსური და ა.შ) ეფექტიან გამოყენებას;
3. გარემოს დაცვის მენეჯმენტის სფეროში გარემოსდაცვითი მართვის ინსტრუმენტებისა და საზოგადოებრივი პრობლემური საკითხების სხვადასხვა ანალიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებით მართვისა და შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტების მომზადების უნარი, ასევე მათი რეალიზაციის, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების გამოყენების უნარი.

4. კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით გარემოს დაცვის მენეჯმენტის სფეროში აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, კვლევის დაგეგმვის, განხორციელებისა და შედეგების წარდგენის უნარი;
5. გარემოს დაცვის მენეჯმენტის სფეროში მოქმედი პროფესიული, ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვით როგორც დამოუკიდებლად, ისე გუნდური მუშაობის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისა და შესაბამისი პასუხისმგებლობის აღების უნარი როგორც სტრატეგიულ, ისე ოპერაციულ დონეზე.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

გარემოს დაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, ვისაც მიღებული აქვს აკადემიური ხარისხი საჯარო მმართველობაში, სოციალურ და ქცევით მეცნიერებებში, განათლებაში, ბიზნესის ადმინისტრირებაში, მენეჯმენტში ან სამართალში, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსში და სურთ გაიღრმავონ ცოდნა გარემოს დაცვის მენეჯმენტის მიმართულებით. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს:

1) ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი აღნიშნულ სფეროში;

2) საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარება;

3) ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა: მაგისტრანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, რაც უნდა დადასტურდეს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდით ან შესაბამისი ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატით (TOEFL (P/B 513 score; I/BT 87score); IELTS (5.5 Band); FCE; BEC Vantage; PTE (General level 3); PTE Academic (59p); Michigan ECCE). ინგლისური ენის გამოცდისგან ან შესაბამისი სერტიფიკატის წარმოდგენის ვალდებულებისგან თავისუფლდება მაგისტრანტობის კანდიდატი, თუ მას საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ, სამაგისტრო ან საბაკალავრო პროგრამა დასრულებული აქვს ინგლისურ ენაზე.

4) დარგობრივი გამოცდა: რომლის მიზანია შეფასდეს აპლიკანტის ცოდნა გარემოს დაცვით მენეჯმენტის დარგში და განისაზღვროს აპლიკანტის უნარ-ჩვევების შესაბამისობა სამაგისტრო პროგრამასთან.

დარგობრივი საკითხების ჩამონათვალი, ინგლისური ენის ტესტის ნიმუშთან ერთად განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია - „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2011 წლის 19 დეკემბრის № 224 / ნ ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული მაგისტრანტობის კანდიდატებისთვის.

პროგრამის სწავლის შედეგები:

გარემოს დაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება

1. სიღრმისეულად აღწერს გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემასა და დემოკრატიული მმართველობის, გარემოს დაცვის საკვანძო პრინციპებსა და კონცეფციებს, გარემოსდაცვითი მართვის ინსტრუმენტებს, გარემოს დაცვისა და კონსერვაციის, მწვანე და ცირკულარული ეკონომიკის, დაბალემისიანი და კლიმატმედეგი განვითარების თანამედროვე ტენდენციებს, მართვის შესაბამის სტანდარტებს, საუკეთესო პრაქტიკებს და მათ ეკონომიკურ, სამართლებრივ და მენეჯერულ თავისებურებებს და განსაზღვრავს გარემოსდაცვითი მართვის ინსტრუმენტების ძირითად მახასიათებლებს, მათ მნიშვნელობასა და მათი გავლენის საზღვრებს.
2. საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით განსაზღვრავს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისა და აღწარმოების, ნარჩენების რეგულირების/რეციკლირების, ქიმიური, ბირთვული, ბიოლოგიური და რადიაციული ნარჩენების, განახლებადი ენერგიისა და ალტერნატიული ენერგიის წყაროების მართვისა და ბიომრავალფეროვნების დაცვისა და კონსერვაციის, სათბური აირების ემისიების შემცირების მენეჯმენტის სპეციფიკას და შესაბამისი გეგმებისა და ღონისძიებების მოქმედების არეალს.

უნარები

3. შეიმუშავებს გარემოს დაცვის შესაბამის მიმართულებებში რელევანტურ სტრატეგიებს, გარემოს დაცვის გეგმებს, პროგრამებსა და პროექტებს, გარემოსდაცვითი პრობლემების/რისკების შემცირებისა და აღმოფხვრის სარეკომენდაციო წინადადებებს საჯარო პოლიტიკის ანალიზის პრინციებსა (პოლიტიკის დოკუმენტებს) და ადამიანური, ფინანსური, ინფორმაციული, ტექნოლოგიური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტური გამოყენების პრინციპებზე დაყრდნობით.
4. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში არსებული გამოწვევებისა და მოსალოდნელი საფრთხეების/რისკების იდენტიფიცირების, მონიტორინგისა და შეფასებისთვის იყენებს გარემოსდაცვითი მართვის ისეთ ინსტრუმენტებს, როგორიცაა გზშ, სგშ, რზშ, გარემოსდაცვითი აუდიტი და მონიტორინგი, გის-ი და სხვა და გარემოს დაცვის მენეჯმენტის თითოეული მიმართულების მართვის პროცესში ხელმძღვანელობს მდგრადი განვითარების მიზნებით და რისკ-ფაქტორებით როგორც ლოკალურ, ისე გლობალურ დონეზე საჯარო/კერძო დაწესებულებების, სამთავრობო და არასამთავრობო ინტიტუტების მართვისა და ადმინისტრირების სპეციფიკის გათვალისწინებით.
5. კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით, სისტემურად ამუშავებს და კრიტიკულად აანალიზებს თანამედროვე და კომპლექსურ პროფესიულ/აკადემიურ სამეცნიერო მიდგომებსა და ინფორმაციას, ემპირიული კვლევის საფუძველზე დამოუკიდებლად მოიპოვებს მონაცემებს, რაზე დაყრდნობითაც ინდივიდუალურად ქმნის კვლევით ნაშრომს გარემოს დაცვის მენეჯმენტის სფეროსთვისთვის რელევანტურ პრობლემურ საკითხებზე და აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, შესაბამის აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით წარუდგენს კვლევის შედეგებს.
6. გარემოსდაცვითი განათლებისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების სტანდარტების დაცვით ამყარებს კომუნიკაციას და წარუდგენს არგუმენტირებულ და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ დასკვნებსა და ანალიტიკურ დოკუმენტებს, მათ შორის ანგარიშებს, როგორც შესაბამის პროფესიულ საზოგადოებას, ისე დაინტერესებულ მხარეებსა და ფართო საზოგადოებას.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

7. გარემოს დაცვის მენეჯმენტის სისტემისა და დემოკრატიული მმართველობის, გარემოსდაცვითი მართვის ინსტრუმენტების, გარემოს დაცვისა და კონსერვაციის, მწვანე და ცირკულარული ეკონომიკის, დაბალემისიანი და კლიმატმედეგი განვითარების მიმართულებებით არსებული კომპლექსური პრობლემების მართვის პროცესში ხელმძღვანელობს ეთიკური ნორმებით, გარემოს დაცვის პრინციპებით, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებით, გარემოსდაცვითი საერთაშორისო და ადგილობრივი სამართლებრივი რეგულაციებითა და სტანდარტებით.
8. სტრატეგიული მიდგომების გათვალისწინებით გარემოს დაცვის მენეჯმენტის შესაბამის მიმართულებებში დამოუკიდებლად აფასებს და განსაზღვრავს საკუთარი და გუნდის წევრთა პროფესიული განვითარების და უწყვეტი კარიერული ზრდის საჭიროებებს.

<u>სწავლება-სწავლის მეთოდები:</u>

გარემოს დაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, სპეციფიკური მასალის ათვისებას და კონკრეტული უნარებისა და პასუხისმგებლობების განვითარებას და თანხმობაშია „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ შეფასების შესაბამის მიდგომებსა და კრიტერიუმებთან აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სტუდენტებთან სიღრმისეული უკუკავშირის ვალდებულების დაცვის პირობით. გარემოს დაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სწავლება-სწავლის მეთოდები ეყრდნობა საუკეთესო პრაქტიკის და გარემოს დაცვის მენეჯმენტის სფეროსთან დაკავშირებული კომპეტენციების განვითარების გამოცდილებას და ხორციელდება შემდეგი გავრცელებული მეთოდებით: ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, ვერბალური მეთოდი (Verbal Method), დემონსტრირების მეთოდი (Demonstrate Method), პრეზენტაცია (Presentation), პრაქტიკული მუშაობა (Practical Work), ჯგუფში მუშაობა (Group Work), პროექტზე დაფუძნებული სწავლება (Project Based Study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (Problem Based Study), სწავლება კეთებით

(Learning by Doing), შემთხვევის შესწავლა (Case Study), სიმულაციური სწავლება (Simulation Study), დისკუსია/ დებატები (Discussions/Debates), ელექტრონული სწავლება და სხვა.

დასაქმების სფერო:

გარემოს დაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმდნენ და მიღებული ცოდნა და უნარები გამოიყენონ სახელმწიფო სტრუქტურებში, როგორც ადგილობრივ ასევე ცენტრალური მმართველობის ორგანიებში, არასამთავრობო და კერძო სექტორში. პროგრამა იძლევა ღრმა თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც კურსდამთავრებულებს აძლევს შესაძლებლობას აწარმოონ კვლევა ან ჩაერთონ პრაქტიკულ საქმიანობაში გარემოს დაცის მენეჯმენტის სხვადასხვა მიმართულებით ანალიტიკოსების, მენეჯერებისა და წამყვანი სპეციალისტების სახით.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

გარემოს დაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გარემოს დაცვის მიმართულებით სადოქტორო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის მკვლევარის მომზადებაზე ან ნებისმერი სხვა დარგის სადოქტორო პროგრამაზე თუ მისი დაშვების წინაპირობა არ არის შეზღუდული კონკრეტული სპეციალობით.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

გარემოს დაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სავალდებულო და არჩევით საგნებს უძღვება როგორც უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები, რომელთაც აქვთ გარემოს დაცვის საკითხების მართვის პრაქტიკული გამოცდილება და კომპეტენციები. ადამიანური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დანართში N3.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი:

გარემოს დაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, კერძოდ: სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიები და საკონფერენციო დარბაზი; კომპიუტერული ტექნიკითა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა; კომპიუტერული კლასები, ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკა და სწავლის/სწავლების პროცესის ადეკვატური კომპიუტერული პროგრამები; სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობები და ა.შ.

საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურით. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა სტუდენტებს უზრუნველყოფს სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, აგრეთვე ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით, საერთაშორისო ელექტრონული ბაზებით, რომელიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის მიღმაც და უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით.

გარემოს დაცვის მენეჯმენტისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები:

პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი: პროფესორი კახა არცივაძე
ტელ: (995 32) 249 75 00 მობ: +(995) 599 559 295
მეილი: k.artsivadze@gipa.ge

პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი: ასისტენტი მაია ზავრაშვილი
ტელ: (995 32) 249 75 00 მობ: + (995) 591 222 227
მეილი: m.zavrashvili@gipa.ge

პროგრამის აკადემიური ხელმძღვანელი: პროფესორი ნანა (ნანი) მაჭარაშვილი
ტელ: (995 32) 249 75 00 მობ: + (995) 593 488 211
მეილი: nana.macharashvili@gipa.ge

გარემოს დაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა და სასწავლო გეგმა:

გარემოს დაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა შედგება სასწავლო (95 ECTS) და კვლევითი კომპონენტებისგან (25 ECTS).
გარემოს დაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტი მიზნად ისახავს მაგისტრანტის დარგობრივ და მეთოდოლოგიურ დახელოვნებას გარემოს დაცვის მენეჯმენტის დარგობრივ მიმართულებებში შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობების განვითარებით, რაც მიიღწევა პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი სავალდებულო და არჩევითი კურსების შეთავაზების გზით.

გარემოს დაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობას. სამაგისტრო ნაშრომი არის გარემოს დაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის კვლევითი სავალდებულო კომპონენტი, რომლის შესრულება დასტურდება სამაგისტრო ნაშრომის წარდგენითა და დაცვით (პრეზენტაცია და დისკუსია). სამაგისტრო ნაშრომი სტუდენტის ინდივიდუალური, დამოუკიდებელი, ორიგინალური კვლევაა. სამაგისტრო ნაშრომის შესრულების და მისი დაცვის მიზანია სტუდენტს ჩამოუყალიბოს გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და პოლიტიკის პრობლემურ საკითხებზე კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების, მიღწეული სწავლის შედეგების წარმოჩენისა და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით საკუთარი მსჯელობის არგუმენტირებულად წარმოდგენის უნარი.

გარემოს დაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასება წარმოებს ,,უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად.

გარემოს დაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი\ მოდული	ECTS კრედიტი/საათი				სტუდენტის სასწავლო დატვირთვა	
				I წელი		II წელი		საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები
				სემესტრი					
				I	II	III	IV		
				24	36	30	30		

11	ENV301	ENV101, ENV102, ENV103, ENV104, ENV105	პროექტების მართვა და ეფექტური კომუნიკაცია გარემოსდაცვის მენეჯმენტში			5/125		34	91
12	ENV302	ENV205	გარემოსდაცვითი აუდიტი და მონიტორინგი			5/125		30	95
13	ENV303	ENV101, ENV102	სტრატეგიული მართვა - პოლიტიკის დაგეგმვა, კოორდინაცია და შესრულების მენეჯმენტი			10/250		36	214
14	ENV304	ENV205	გეოსაინფორმაციო სისტემები (GIS) გარემოსდაცვით მართვაში			5/125		30	95
15	ENV401	ENV105; ENV203	სამაგისტრო კვლევის დიზაინი				5/125	30	95
16	ENV402	I-III სემესტრის სავალდებულო კურსების გავლა	სამაგისტრო ნაშრომი				25/625	40	585
			სპეციალობის არჩევითი საგნები		5	5		–	
17	ENV501	ENV101, ENV102, ENV103, ENV104, ENV105	ნარჩენების მართვის მენეჯმენტი		5/125	5/125		30	95
18	ENV502	ENV101, ENV102, ENV103, ENV104, ENV105	ტყის რესურსების მართვა		5/125	5/125		30	95
19	ENV503	ENV101, ENV102, ENV103, ENV104, ENV105	მდგრადი ენერგეტიკის პოლიტიკის მენეჯმენტი		5/125	5/125		30	95
20	ENV504	ENV101, ENV102, ENV103, ENV104, ENV105	წყლის რესურსების მენეჯმენტი		5/125	5/125		30	95
21	ENV505	ENV101, ENV102, ENV103, ENV104, ENV105	ატმოსფერული ჰაერის დაცვა		5/125	5/125		30	95
22	ENV506	ENV101, ENV102, ENV103, ENV104,ENV105	სოფლის მეურნეობის განვითარება და მართვა		5/125	5/125		28	97

ცხრილი # 1: გარემოს დაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის რუკა N1

პროგრამის მიზნები					
	მიზანი 1	მიზანი 2	მიზანი 3	მიზანი 4	მიზანი 5
ცოდნა და გაცნობიერება					
შედეგი 1					
შედეგი 2					
უნარი					
შედეგი 3					
შედეგი 4					
შედეგი 5					
შედეგი 6					
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა					
შედეგი 7					
შედეგი 8					

ცხრილი N3: გარემოს დაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

რუკაზე წარმოდგენილია სწავლის შედეგები სავალდებულო საგნებთან მიმართებით, რომლებიც თავის მხრივ ჩაშლილია სამ (3) დონედ: ა) I (Introduction) - გაცნობითი დონე, ბ) D (Development of knowledge) - ცოდნის გაღრმავება, გ) M (Mastering) - ცოდნის განმტკიცება. პროგრამა ასევე ითვალისწინებს პრაქტიკულ კომპონენტს - P (Practical application of knowledge/research). ასევე შესაძლებელია, რომ სასწავლო კურსი გადიოდეს განვითარებისა და პრაქტიკის (DP) ან გაღრმავებისა და პრაქტიკის (MP) დონეზე.

	სასწავლო კომპონენტი	ცოდნა და გაცნობიერება		უნარი				პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	
		1	2	3	4	5	6	7	8
	სავალდებულო კომპონენტები								
1.	გარემოსდაცვითი მართვის სისტემის სამართლებრივი განზომილებები	I	I		I				
2.	გარემოს დაცვის პოლიტიკა და საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი	I	I		I				
3.	ცოცხალი გარემო, ეკოლოგია და გარემოს დაცვის გამოწვევები	I	I		I			I	I
4.	გარემოსდაცვითი ეკონომიკა და ეკონომიკური შეფასების მეთოდები	I	I	I			I	I	I
5.	აკადემიური წერა					I		D	
6.	მწვანე და ცირკულარული ეკონომიკა	D	D						
7.	დაბალემისიანი და კლიმატმედეგი განვითარება - კლიმატის გლობალური ცვლილება და პოლიტიკის მენეჯმენტი	D	D		D		D		
8.	რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები					D		D	
9.	ბიომრავალფეროვნების მართვა და კონსერვაცია	D	D	D	D		D	D	
10.	გარემოსდაცვითი მართვის ინსტრუმენტები: გზშ, სგშ, რზშ	D	D	DP	DP		D	D	
11.	პროექტების მართვა და ეფექტური კომუნიკაცია გარემოსდაცვის მენეჯმენტში			DP	DP		D	D	D
12.	გეოსაინფორმაციო სისტემები (GIS) გარემოსდაცვით მართვაში	D			DP			DP	DP
13.	სტრატეგიული მართვა -პოლიტიკის დაგეგმვა, კოორდინაცია და შესრულების მენეჯმენტი			MP	MP			DP	MP
14.	გარემოსდაცვითი აუდიტი და მონიტორინგი			MP	MP			DP	MP
15.	სამაგისტრო კვლევის დიზაინი	MP	MP			MP	MP	MP	
16.	სამაგისტრო ნაშრომი	M	M			M	M	M	

დანართი N2 - პროგრამის აკადემიური და ადმინისტრაციული ხელმძღვანელების პირადი საქმეები:

(CURRICULUM VITAE)

კახა არცივაძე
მობილური: (+995) 599 559 295
ელ-მისამართი: k.artsivadze@gipa.ge

მიმდინარე საქმიანობა

2000 წლიდან - სახეობათა კონსერვაციის საემეცნიერო კვლევით ცენტრი - ნაკრესი - გამგეობის წევრი/ზურმუხტის ქსელის განვითარების პროგრამის კორდინატორი
2016 წლიდან - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი. გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი

განათლება

1984-1989, 1989-1993 წლები(ასპირანტურა) - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერიტეტი. მეცნიერებათა დოქტორი. ბიოლოგია
1995-1999 წლები - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იურისტის ერთიანი დიპლომი. იურიდიული

პუბლიკაციები

1. კახა არცივაძე, ნინო მოლაშხია, ინგა ნიკაგოსიანი. კლიმატის ცვლილება გამოწვევები და პრობლემების დაძლევის გზები. 2022. EU/UNDP.
2. კახა არცივაძე, ირაკლი შავგულიძე, სანდრო ყოლბაია. ბალახოვანი ეკოსისტემების (საძოვრების) მონიტორინგის შედეგები ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე. 2022. სახეობათა კონსერვაციის ცენტრი NACRES/კავკასიის ბუნების ფონდი CNF/საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.
3. კახა არცივაძე. ჰიდროენერგეტიკის სფეროში გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) დოკუმენტში ბიომრავალფეროვნების დაცვის საკითხების ასახვა. 2022. /საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო/UNEP.
4. კახა არცივაძე. საქონლის გადასარეკი ტრასების მდგომარეობა საქართველოში. 2021. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურენობის სამინისტრო/კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვით ცენტრი/ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი USDA.
5. კახა არცივაძე. საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე არსებული საძოვრების მართვის ანალიზი. 2021. რეკ-კავკასია/FAO/GEF.
6. Anja Salzer, International Expert (Editor) Ana Rukhadze, Kakha Artsivadze. Pasture Management In Georgia. Situation Analysis and Main Challenges Recommendations for Development of Pastures Sustainable Management Programme. Background Study. The Regional Environmental Centre for the Caucasus (REC Caucasus). 2020.
7. S. Gogibedashvili. K. Artsivadze. S. Kolbaia. Carbon Sequestration Potential of the Natural Forest Regrowth in Georgia. The project Integration of sustainable forest management practices in Georgia by provision and analysis of key data using remote sensing technologies, with the support of the Global Forest Watch, Global Forest Institute, UNEP, GEF, NACRES. 2020.
8. Emerald Network Questions and Answers. S. Nozadze; K. Artsivadze; I Shavgulidze. This publication has been prepared in the frame of the 'Integrated Biodiversity Management in South Caucasus' (IBiS) programme implemented by Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH on behalf of the German Federal Ministry for Economic Cooperation and Development (BMZ). 2020.
9. Kakha Artsivadze. Rural Development Strategy of Georgia 2017-2020. Chapter 1.5. Protected Areas, Biodiversity and the Environmental Protection and Sustainable Management of Natural Resources, Solid Waste Management, Climate Change (2017).

10. K. Artsivadze. Preparation of Capacity development Plan for Improved Monitoring and Reporting of UN Convention on Biological Diversity. UNDP. Project ""Harmonization of information management for improved knowledge and monitoring of the global environment in Georgia". Georgia. Tbilisi. 2017.
11. K. Artsivadze Assessment of the Recreational Potential of Georgian Forests. The study was prepared by the Sustainable Forest Governance in Georgia project, with the financial support of CENN and Austrian Development Cooperation.
12. K. Artsivadze. Assessment of national needs for monitoring climate change related trends. UNDP. Project ""Harmonization of information management for improved knowledge and monitoring of the global environment in Georgia". Georgia. Tbilisi. 2016.
13. K. Artsivadze. Roles and responsibilities of relevant national agencies to integrate obligations of three Rio conventions for improved knowledge and monitoring of the global environment in Georgia. Project ""Harmonization of information management for improved knowledge and monitoring of the global environment in Georgia". Georgia. Tbilisi. 2016.
14. K. Artsivadze. Implementation of the Framework Convention on Climate Change in Georgia Institutional mapping & Assessment of capacity needs for monitoring and reporting. Green Alternative, 2016. The research was made under Green Alternative's project "Promotion of implementation of the UN three conventions: Institutional mapping and assessment of capacity needs for monitoring and reporting under three Rio conventions". The project was implemented with the financial assistance of the United Nations Development Programme (UNDP), and within the framework of the UNDP's project "Enhancing Environmental Monitoring and Reporting in Georgia".
15. Shatberashvili, N.; Rucevska, I.; Jørstad, H.; Artsivadze, K.; Mehdiyev, B.; Aliyev, M.; Fayvush, G.; Dzneladze, M.; Jurek, M.; Kirkfeldt, T. & Semernya, L. (2015). Outlook on climate change adaptation in the South Caucasus mountains. Outlook on climate change adaptation in the South Caucasus Mountains. United Nations Environment Programme, GRID-Arendal and Sustainable Caucasus. Nairobi, Arendal and Tbilisi.
16. K. Artsivadze., I. Shavgulidze. Development Emerald Network in Georgia. Centre for Biodiversity Conservation and Research - NACRES Tbilisi. The Joint Programme between the European Union and the Council of Europe for the Preparation of the Emerald Network of Nature Protection Sites. 2014.
17. K. Artsivadze; Irakli Macharashvili; Irakli Shavgulidze; Giorgi Gorgadze; Bejan Lortkipanidze. National Biodiversity Strategy and Action Plan of Georgia 2014 – 2020 (NBSAP). Situation analysis to National Biodiversity Strategy and Action Plan – NBSAP. Thematic Direction: "Biodiversity and Climate Change Issues". 2013.
18. I. Shavgulidze, K. Artsivadze. Use of Pastures in the Traditional Use Zone of Vashlovani National Park: Legal and Institutional Aspects. Project "Sustainable Management of Pastures in Georgia to Demonstrate Climate Change Mitigation and Adaptation Benefits and Dividends for Local Communities" (UNDP/EU). 2013.
19. K. Artsivadze Climate Change and Sustainable use of Agro-biodiversity. Educational Programme Training modules. Project "Identification and Implementation of Adaptation Response to Climate Change Impact for Conservation and Sustainable use of Agro-biodiversity in Arid and Semi-arid Ecosystems of South Caucasus". REC-Caucasus, BMZ GIZ. 2013.

სამეცნიერო პროექტები/მეცნიერების განვითარების მხარდაჭერის გრანტები

1. 2021-2023 ტყის ხანძრების რისკების დარუკება საქართველოში. პროექტი დაფინანსებულია ამერიკიის შერთებული შტატების სატყეო სამსახურის საერთაშორისო პროგრამის მიერ
2. 2023 ტყის მართვის სახემძღვანელოს შემუშავება საქართველოს ზურმუხტის ქსელის საიტებისთვის.
პროექტი დაფინანსებულია მსოფლიო ბანკისა და ევროკავშირის პროგრამა EU4Environment Programme მიერ
3. 2023 საქართველოში არსებული სათიბების/საძოვრების რეგიონალური განაწილების, ინვენტარიზაციისა და მართვისთვის სქემის მომზადება (მცენარეული საფარის სტანდარტული აღწერილობების მომზადება, კლასიფიცირება და რეგიონული განაწილების სქემის მომზადება). კვლევა დაფინანსებული და განხორციელებულია კავკასიის რეგიონალური ცენტრის (REC Caucasus) და ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის USDA-ს დაკვეთით.

4. 2022-2023 ჰიდროენერგეტიკის სფეროში გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) სახემძღვანელო დოკუმენტის შემუშავება. ანგარიში მომზადებულია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოსდაცვის პროგრამის (United Nations Environment Programme (UNEP) ფარგლებში.

5. 2022 გარემოსდაცვითი კანონმდებლობა ბიომრავალფეროვნების სფეროში და ველური ბუნებით უკანონო ვაჭრობა: ტრენინგი მოსამართლეებისა და პროკურატურის თანამშრომლებისთვის. ტრენინგების სერია განხორციელდა ფაუნა და ფლორა ინტერნეშენელის (FFI) დაკვეთით.

6. 2021-2023 ინდიკატორი სახეობების მონიტორინგი საქართველოს შერჩეულ დაცულ ტერიტორიებზე.

პროექტი დაფინანსებული იქნა კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) და გლობალური გარემოს გარემოს ფონდის GEF-ის მიერ

7. 2019-2021 ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის საძოვრების მართვის გეგმის შემუშავება. პროექტი დაფინანსებული იქნა კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) მიერ

8. 2019-2020 გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მიმართ საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინებისა და მეორე ორწლიური განახლებული ანგარიშის შემუშავება. პროგრამა დაფინანსებულია გაეროს გარემოსდაცვით პროგრამასა (UN Environment) და გაეროს გავნითარების პროგრამის (UNDP) მიერ

9. 2018-2019 თუშეთის დაცული ტერიტორიების საძოვრების მართვის გეგმის მომზადება. პროექტი დაფინანსებულია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (Deutsche Gesellschaftfür Internationale Zusammenarbeit - GIZ) მიერ

10. 2019 ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის (CBD) მიმართ საქართველოს მეექვსე ეროვნული ანგარიშის მომზადება. კომპონენტი ჰაბიტატები. კომპონენტი კლიმატის ცვლილების ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებაზე . პროგრამა დაფინანსებულია გაეროს გარემოსდაცვით პროგრამასა (UN Environment) და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ

11. 2018-2019 გატყევების პონტენციალის და ნახშირბადის აკუმულაციის პოტენციალის შეფასება თრუსოს ხეობის მაღალმთიან საძოვრებზე. პროექტი ფინანსურად მხარდაჭერილი იყო Global Forest Watch-ისა და GEF-ის მიერ

12. 2017-2019 ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული ევროკავშირის დირექტივების განხორციელების მხარდაჭერა საქართველოში - ზურმუხსტის ქსელის განვითარება. პროექტი დაფინანსებული იყო გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (Deutsche Gesellschaftfür Internationale Zusammenarbeit - GIZ) მიერ

13. 2014-2018 მცენარეული საფარის მონიტორინგი და საძოვრების მდგომარეობის შეფასება თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე. პროექტი დაფინანსებული იყო გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (Deutsche Gesellschaftfür Internationale Zusammenarbeit - GIZ) მიერ პროგრამა „ეროზიების ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიის მთიან რეგიონებში“ ფარგლებში

14. 2017-2018 ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკის მახარდაჭერა საქართველოში საკვანძო მონაცემების ანალიზისა და დისტანციური ზონდირების ტექნოლოგიების გამოყენების გზით. საქართველოს ტყის ჰაბიტატების იდენტიფიკაცია და დარუკება EUNIS-ის ჰაბიტატების კლასიფიკაციის სისტემის მიხედვით.

პროექტი ფინანსურად მხარდაჭერილი იყო World Resources Institute- ისა და GEF-ის ერთობლივი პროგრამის ფარგლებში

15. 2016-2018 ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული ევროკავშირის დირექტივების განხორციელების მხარდაჭერა საქართველოში - EUNIS-ის ჰაბიტატების კლასიფიკაციის სისტემის ადაპტირება საქართველოსთვის და ზურმუხტის ქსელით დაცული ჰაბიტატების იდენტიფიცირება და დარუკება.

პროექტი დაფინანსებული იყო გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (Deutsche Gesellschaftfür Internationale Zusammenarbeit - GIZ) მიერ

16. 2017-2018 ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის საძოვრების მართვის გეგმის შემუშავება. პროექტი დაფინანსებული იქნა კავკასიის ბუნების ფონდის (CNF) მიერ

17. 2016-2018 საქართველოს სოფლის განვითარების სტრატეგიის მომზადება. პროექტი დაფინანსებული იყო გაეროს განვითარების პროგრამის UNDP-ის მიერ

18. 2016-2018 გაეროს სამი კონვენციის შსრულების ხელშეწყობა: ინსტიტუციონალური მოწყობისა და ანგარიშგების შესაძლებლობების შეფასება“ კლიმატის ცვლილებისა და ბიომრავალფეროვნების კომპონენტი. პროექტი დაფინანსებული იყო გაეროს განვითარების პროგრამის UNDP-ის მიერ

19. 2013-2017 „ზურმუხტის ქსელის“ - სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიების“ (Areas of Special Conservation Interest- ASCI) ჩამოყალიბება საქართველოში. ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამა "Support for the implementation of the Convention on biological diversity programme of work on protected areas in the EU Neighbourhood policy East area and Russia: extension of the implementation of the EU's NATURA 2000 principles through the Emerald Network"

20. 2014-2015 ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების საძოვრების მდგომარეობის შეფასება და მართვის გეგმის მომზადება. პროექტი ხორციელდება ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის UNDP -ის ფინანსური მხარდაჭერით "საძოვრების მდგრადი მართვა საქართველოში, ადგილობრივი თემებისათვის კლიმატის ცვლილებების შერბილებისა და ადაპტაციის სარგებლისა და დივიდენდების დემონსტრაციის მიზნით"

21. 2013-2014 საძოვრების მდგრადი მართვა ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე. პროექტი ხორციელდებოდა შეერთებული შტატების განვითარების საერთაშორისო სააგენტოს (USAID) და ევროკვაშირის "თვინინგის" პროგრამის მხარდაჭერით.

22. 2012-2013 ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის NBSAP შემუშავება. თემატური მიმართულება: „ბიომრავალფეროვნება და კლიმატის ცვლილება“ პროექტი დაფინანსებული იყო გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (Deutsche Gesellschaftfür Internationale Zusammenarbeit - GIZ) მიერ, პროგრამა „ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა სამხრეთ კავკასიაში“ ფარგლებში

23. 2012-2013 ჩათმისა და ჭაჭუნას აღკვეთილის მიმდებარე საძოვრების მდგომარეობის შეფასება. პროექტი ხორციელდება ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის UNDP -ის ფინანსური მხარდაჭერით "საძოვრების მდგრადი მართვა საქართველოში, ადგილობრივი თემებისათვის კლიმატის ცვლილებების შერბილებისა და ადაპტაციის სარგებლისა და დივიდენდების დემონსტრაციის მიზნით"

24. 2009-2011 ზურმუხტის ქსელის“ - სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიების (Areas of Special Conservation Interest- ASCI) ჩამოყალიბება საქართველოში. პროექტი დაფინანსებული იყო მიმდინარეობს ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი მხარდაჭერით.

(CURRICULUM VITAE)

მაია ზავრაშვილი

მობილური: (+995) 591 222 227

ელ-მისამართი: m.zavrashvili@gipa.ge

მიმდინარე საქმიანობა

2020 წლიდან - Colliers Georgia Mining and Minerals, დამფუძნებელი პარტნიორი, CEO

2020 წლიდან - Adam Smith International LLC , იურიდიული მრჩეველი

2017 წლიდან - გარემოს დაცვის მენეჯმენტისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი / ასისტენტი და , საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიუტი (GIPA)

განათლება

B.A. (2003-2007) - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურისტი, იურიდიული ბაკალავრი

M.A. (2007-2009) - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საჯარო სამართლის იურიდიული მაგისტრი

2011 წლიდან - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, სპეციალობა - საჯარო სამართალი

პუბლიკაციები

1.„სერთიფიცირების სახელმძღვანელო საჯარო სამსახურში მოხელის თანამდებობაზე დასაქმების მსურველთათვის“ , თანაავტორი, თბილისი, 2017

(CURRICULUM VITAE)

ნანა (ნანი) მაჭარაშვილი

მობილური: (+995) 593 488 211

ელ-მისამართი: nana.macharashvili@gipa.ge

მიმდინარე საქმიანობა

2018 წლიდან - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი, კვლევის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საჯარო მმართველობის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი

2019 წლიდან - აკრედიტაციის ექსპერტი, საჯარო პოლიტიკა/მმართველობა, პოლიტიკის მეცნიერება, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2022 წლიდან - The NISPAcee საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სამეცნიერო ჟურნალის - NISPAcee Journal of Public Administration and Policy პარტნიორი/კოორდინატორი ჯიპა-ში.

განათლება

Ph.D (2006)- პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი # 005555, თსუ, ასპირანტურა, პოლიტიკის მეცნიერება

M.A. (2003) - მანჩესტერის უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებათა მაგისტრი, მოსკოვის სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლა, ერთობლივი ბრიტანულ-რუსული სამაგისტრო პროგრამა

PG Diploma (2003) -მოსკოვის სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლა, პროფესიული გადამზადების პროგრამა

M.A. (2001) - თსუ, მაგისტრატურა, პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი

B.A. (1999) - თსუ, ბაკალავრიატი, პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი

პუბლიკაციები

1. Macharashvili, N., Gorgodze, A., Kipiani, K., (2024), U21 and Sustainable Development Goals (SDGs), Research Report, Research Project funded by UEFA Academy.
2. ნორდბერგი, კ, ლინდი, მ., ტაბეშაძე ნ., ჩუთლაშვილი, ა., მაჭარაშვილი, ნ., (2023), რეკომენდაციები საქართველოში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ახალგაზრდების არსებითი მონაწილეობის გასაზრდელად (შვედური და ფინური გამოცდილების საფუძველზე), თბილისი: ჯიპა, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში საჯარო ადმინისტრირების რეფორმის მხარდაჭერის ფარგლებში (ქართულ და ინგლისურ ენებზე).
3. მაჭარაშვილი, ნ., ცუხიშვილი, ნ. (2022), საჯარო მოხელეების მიერ მხილების მექანიზმის არსებული პრაქტიკის შეფასება, კვლევის ანგარიში, საჯარო მოხელეთა ჰაბი. თბილისი.
4. საქართველოს საჯარო სამსახურში ტექნიკური და არააკადემიური პროფესიების შესწავლა, კვლევის ანგარიში მომზადებულია ACT-ის მიერ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისთვის (GIZ), 2022, თბილისი, საქართველო.
5. Macharashvili, N., Sanikidze. T., Beridze, E., Begoidze, M., Chalauri, N., (2020), Political Independence of Civil Servants and the Role of Senior Civil Servants. Tbilisi: GIPA with the support of UNDP Georgia.
6. მაჭარაშვილი, ნ., სანიკიძე, თ., ბერიძე, ე., ბეგოიძე, მ., ჩალაური, ნ., (2020), პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და უმაღლესი საჯარო მოხელის ინსტიტუტი, თბილისი: ჯიპა, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში საჯარო ადმინისტრირების რეფორმის მხარდაჭერის ფარგლებში.
7. ძებისაშვილი, შ., მაჭარაშვილი, ნ., (2020), უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროში სტრატეგიული დაგეგმვის სახელმძღვანელო, თბილისი: ნატოს სამოკავშირეო ოფისი (NLO), პროფესიული განვითარების პროგრამა.
8. Véronique Dudouet, Alia Ashaq, Ekaterine Basilaia and Nani Macharashvili, (2018), From Policy to Action: Assessing the European Union's Approach to Inclusive Mediation and Dialogue Support in Georgia and Yemen. Peacebuilding, DOI: 10.1080/21647259.2018.1491279 (HORIZON2020)
9. Nana Macharashvili, Ekaterine Basilaia, Nikoloz Samkharadze, (2017), Assessing the EU's conflict prevention and peacebuilding interventions in Georgia, WOSCAP case-study report. https://www.woscap.eu/publications1/index.html (HORIZON2020)
10. ეკატერინე ბასილაია, ნანა მაჭარაშვილი (2017), გენდერი და კატასტროფის რისკის მართვა: თემის მედეგობის ამაღლება სპეციფიკური საჭიროებების და პოტენციალის შესწავლის გზით, კვლევის ანგარიში, კვლევა წარმოადგენს ევროკომისიის ჰუმანიტარული დახმარების და სამოქალაქო დაცვის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამის „თემების მდგრადობის ხელშეწყობა სამხრეთ კავკასიაში“ ნაწილს.

11. Lia Tsuladze, Nana Macharashvili & Ketevan Pachulia (2017), SOS Tbilisi, Problems of Post-Communism DOI: 10.1080/10758216.2017.1308228
12. Macharashvili, N., Basilaia, E, Tangiashvili, N. (2015) Policy Advocacy Success in Georgia: The Role and Limitations of NGOs in Influencing Public Policy, Tbilisi (manuscript on Georgian and English Languages).
13. N.Macharashvili, N.Vasadze, (2013) Book review for Ricketts, A. (2012) The Activists' Handbook: A Step-by-Step Guide to Participative Democracy, Zed BooksL London, NY, in *Community Development Journal* (2013) 48 (4): 648-651. Macharashvili N. (2011) Windows of Opportunity for governmental and non-governmental organization partnership in Georgia. Annual Publication. *Center of Training and Consultancy*. 2010
14. ნ.მაჭარაშვილი, შესაძლებლობების ფანჯრები სამთავრობო და არასამთავრობო სექტორს შორის თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, ტრენინგისა და კონსულტაციების ცენტრი. თბილისი: 2010.
15. საქართველოში სახელმწიფო მართვის რეფორმირება: მომსახურეობაზე დაყვანილი მოქალაქეობის პრინციპი. ტრეინინგისა და კონსულტაციების ცენტრი. თბილისი: 2009.
16. მაჭარაშვილი ნ. (2008), საქართველოში ახალი საჯარო მენეჯმენტის პრინციპების დამკვიდრების პერსპექტივები. ს.ს.ი.ტ. პოლიტოლოგიის ინსტიტუტი. (მონოგრაფია).
17. მაჭარაშვილი ნ. (2008), ახალი საჯარო მენეჯმენტის ცენტრალიზებული მოდელი. ს.ს.ი.პ. პოლიტოლოგიის ინსტიტუტის კრებული პოლიტიკა დღეს: ინსტიტუტები, პროცესები, აქტორები.
18. მაჭარაშვილი ნ. (2007), შერიგება როგორც პოსტკონფლიქტურ საზოგადოებაში თანხმობის მიღწევისა და მშვიდობის მშენებლობის საშუალება. თბილისი: პოლიტოლოგიის ინსტიტუტი.
19. მაჭარაშვილი ნ., (2007), პოლიტიკა და საზოგადოება - პოლიტიკური ფორუმი - 10 შეკითხვა საქართველოს საზოგადოებრივ განვითარებაზე - 2006, თბილისი: მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი.
20. FOLLOWING INTERNATIONAL EXPERIENCE OF NATIONAL RECONCILIATION BY REJECTING THE RETRIBUTIVE MODEL? The *CA&CC Press® AB /Central Asia & Central Caucasus Press AB/\,* THE Caucasus &Globalization, Journal of Social, Political and Economic Studies, Vol. 1 (4), 2007
21. Нани МАЧАРАШВИЛИ, ОТКАЗ ОТ "КАРАТЕЛЬНОЙ" МОДЕЛИ ВОССТАНОВЛЕНИЯ СПРАВЕДЛИВОСТИ: ИДЕТ ЛИ ГРУЗИЯ ПО ПУТИ МЕЖДУНАРОДНОГО ОПЫТА НАЦИОНАЛЬНОГО ПРИМИРЕНИЯ? КАВКАЗ&ГЛОБАЛИЗАЦИЯ, Журналсоциально-политических и экономических исследований, Том 1 (4), 2007 г.
22. მაჭარაშვილი ნ. (2006), პოლიტიკის ანალიზი, სახელმძღვანელო, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბ.
23. მაჭარაშვილი ნ. (2005), ეროვნული შერიგების საერთაშორისო გამოცდილება: რომელ მოდელს აირჩევს საქართველო. კრებ.:"წელიწდეული _ 2005", საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი. თბ.
24. Мачарашвили Н. (2004), Испанский опыт проведения политики национального примирения // კრებ.: „პოლიტიკა“, # 5-6
25. მაჭარაშვილი ნ. (2001), ეროვნული შერიგების საერთაშორისო გამოცდილება და საქართველო. კრებული „პოლიტიკური ტექნოლოგიები“, #2, თბილისი.
26. მაჭარაშვილი ნ. (2000), ადამიანის უფლებათა დაცვა. პოლიტოლოგია. სალექციო კურსების თემატიკა. თბილისი
27. მაჭარაშვილი ნ. (1998), კომპრომისი როგორც პოლიტიკური კულტურის ფენომენი. // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხებისადმი მიძღვნილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული, თბ.

სამეცნიერო პროექტები/მეცნიერების განვითარების მხარდაჭერის გრანტები

2022-2026 - პროექტის ხელმძღვანელი ჯიპა-ს მხრიდან, ევროკომისიის გრანტი - ETHICS - კვლევის ეთიკისა და კეთილსინდისიერების გაძლიერება საქართველოს უნივერსიტეტებში - Georgia National Project ERASMUS-EDU-2022-CBHE-STRAND-3 (2022-2026)

2022-2025 - The NISPAcee - ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში საჯარო ადმინისტრირების ინსტიტუტებისა და სკოლების ქსელის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სამეცნიერო ჟურნალის - NISPAcee Journal of Public Administration and Policy პარტნიორი/კოორდინატორი ჯიპა-ში.

2022 - მარტი-დეკემბერი - საჯარო მოხელეების მიერ მხილების მექანიზმის არსებული პრაქტიკის შეფასება საჯარო მოხელეთა ჰაბი, მხარდაჭერის ნიდერლანდების საელჩოს მიერ.

2019-2022 - პროექტის ხელმძღვანელი ჯიპა-ს მხრიდან, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კვლევითი შესაძლებლობების ამაღლება კვლევისა და განვითარების ერთეულების განვითარების გზით (HERD), ევროკომისია, ERASMUS+ Programme, 598207-EPP-1- 2018-1-GEEPPKA2-CBHE-SP

2019-2020 - სამეცნიერო პროექტის ხელმძღვანელი, მკვლევარი - საჯარო მოხელეთა პოლიტიკური ნეიტრალიტეტი და უმაღლესი საჯარო მოდელის როლი, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერის ფარგლებში.

2015 წლიდან - ევროსაბჭოს მიერ ჰორიზონტ 2020-ის ფარგლებში დაფინანსებული სამეცნიერო პროექტის „კონფლიქტის პრევენცია და მშვიდობის შენება სოციეტალური გადაწყვეტის დონეზე“ კოორდინატორი და ადგილობრივი მკლევარი - HORIZON 2020 – EU Whole-of-Society Conflict Prevention and Peacebuilding (EU-WOSCAP), 653866 – WOSCAP –H2020-BES-2014-2015/H2020-BES-2014, Local Expert, Project Coordinator at Tbilisi State University.

2015 წლიდან – მკვლევარი, ნორვეგიის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის კვლევითი პროექტი „გარემოს დაცვის პოლიტიკის ადვოკატირება თბილისში - Research Beyond the Ivory Tower: Policy and Communications Training for University Teams programme, .'NUPI - Norwegian Institute of International Affairs fellowship for research - SOS Tbilisi: Does Environmental Civic Participation Enable Deliberative Democracy in Georgia?

2014-2016 - ავტორი საჯარო მმართველობის და პოლიტიკის მიმართულებით, განმარტებითი ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში, პროექტის "განმარტებითი ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში: ფსიქოლოგია, გენდერი, გამოყენებითი სტატისტიკა, საჯრო პოლიტიკა და მართვა" ფარგლებში, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით.

2013-2015 – ადგილობრივი ექსპერტი – V-Democracy Institute, Department of Political Science, University of Gothenburg (Sweden). https://v-dem.net/DemoComp/en/data/analysis.

2013-2014 – პროექტის ხელმძღვანელი და მთარგმნელი, აშშ-ს საელჩო, ამერიკელი ავტორების წიგნის თარგმნის პროექტი, იულიამ დანი, საჯარო პოლიტიკის ანალიზი;

2012-2014 – პროექტის ხელმძღვანელი და უფროსი მკვლევარი, კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელის (ASCN) გრანტი. გარე აქტორების მონაწილება საჯარო პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა ფორმირებაში.

დანართი N3 - ინფორმაცია პროგრამის ადამინური რესურსების შესახებ

#	სახელი, გვარი	აკადემიური/მოწვეული პერსონალი, აკადემიური პოზიცია	სასწავლო კურსი/ კვლევითი კომპონენტი
1	ნათია იაკობიძე	ასოცირებული პროფესორი	აკადემიური წერა
2	დავით ჯანდიერი	პროფესორი	გარემოსდაცვითი მართვის სისტემის სამართლებრივი განზომილებები
			სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი
3	მაია ზავრაშვილი	ასისტენტი	გარემოს დაცვის პოლიტიკა და საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი
4	ნინო თანდილაშვილი	ასისტენტ პროფესორი	გარემოს დაცვის პოლიტიკა და საერთაშორისო გარემოსდაცვითი სამართალი
5	ნანა მაჭარაშვილი	პროფესორი	სტრატეგიული მართვა - პოლიტიკის დაგეგმვა, კოორდინაცია და შესრულების მენეჯმენტი
			სამაგისტრო კვლევის დიზაინი
			სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი
6	ქეთევან ვარდოსანიძე	მოწვეული ლექტორი	მწვანე და ცირკულარული ეკონომიკა
7	კახა არცივაძე	პროფესორი	ცოცხალი გარემო, ეკოლოგია და გარემოს დაცვის გამოწვევები
			სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი
8	ლაშა არევაძე	ასისტენტი	გარემოსდაცვითი ეკონომიკა და ეკონომიკური შეფასების მეთოდები
9	თამარ ჩხაიძე	მოწვეული ლექტორი	რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები
10	ხათუნა გიგაური	ასოცირებული პროფესორი	დაბალემისიანი და კლიმატმედეგი განვითარება - კლიმატის გლობალური ცვლილება და პოლიტიკის მენეჯმენტი
			სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი
11	სალომე მეფარიშვილი	მოწვეული ლექტორი	გარემოსდაცვითი მართვის ინსტრუმენტები: გზშ, სგშ, რზშ
12	ეკატერინე კაკაბაძე	ასისტენტი	ბიომრავალფეროვნების მართვა და კონსერვაცია
13	ზურაბ გურიელიძე	მოწვეული ლექტორი	ბიომრავალფეროვნების მართვა და კონსერვაცია
			სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი

14	კახა ბახტაძე	მოწვეული ლექტორი	პროექტების მართვა და ეფექტური კომუნიკაციის საფუძვლები გარემოსდაცვის მენეჯმენტში
15	ია პაპიაშვილი	მოწვეული ლექტორი	პროექტების მართვა და ეფექტური კომუნიკაციის საფუძვლები გარემოსდაცვის მენეჯმენტში
16	ნინო გელაშვილი	ასოცირებული პროფესორი	გარემოსდაცვითი აუდიტი და მონიტორინგი
			ნარჩენების მართვის მენეჯმენტი
			სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი
17	ნათია იორდანიშვილი	ასისტენტი	ტყის რესურსების მართვა
18	დაჩი ყანჩაველი	მოწვეული ლექტორი	გეოსაინფორმაციო სისტემები (GIS) გარემოსდაცვით მართვაში
19	მურმან მარგველაშვილი	მოწვეული ლექტორი	მდგრადი ენერგეტიკის პოლიტიკის მენეჯმენტი
			სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი
20	ირაკლი ქობულია	მოწვეული ლექტორი	წყლის რესუსრების მენეჯმენტი
			სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი
21	ნოე მეგრელიშვილი	ასისტენტ პროფესორი	ატმოსფერული ჰაერის დაცვა
22	ელისო ბარნოვი	მოწვეული ლექტორი	წყლის რესურსების მენეჯმენტი
23	შალვა ფიფია	პროფესორი	სოფლის მეურნეობის განვითარება და მართვა